KA030198538022917

№ 01-20332 **20 / სექტემბერი / 2017 წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს ბატონ დავით სერგეენკოს
მინისტრის მოადგილის
ზაზა სოფრომაძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ 2017 წლის 13 სექტემბრის N 12/2009 წერილით მოგვმართა სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრმა“ (შემდგომში - ცენტრი) რომელიც გეგმავს ოთხი ერთეული სპეციალიზირებული კლასის - პიკაპის ტიპის ავტომობილების შესყიდვას.

„2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის № 638 დადგენილების მე-18 დანართის „სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირების“ მე-3 მუხლის „ბ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ან მინისტრის მოადგილის დავალების საფუძველზე (მ.შ. შესაბამისი ნორმატიული აქტებით განსაზღვრული სახელმწიფო მნიშვნელობის ღონისძიებების განხორციელებისათვის) საქართველოს ტერიტორიაზე შესაბამისი საჭირო მომსახურების ან/და საქართველოს ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებში სხვადასხვა სახის კატასტროფის ან საომარი მდგომარეობების დროს დამდგარი საგანგებო სიტუაციების და სპეციალური ოპერაციებისას დროული გადაადგილებისა და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების მიწოდებისთვის მზაობის უზრუნველსაყოფად საჭიროა ოთხი ერთეული სპეციალიზირებული კლასის - პიკაპის ტიპის ავტომობილის შესყიდვა.

აღნიშნული შესყიდვის განხორციელებით ცენტრს საშუალება მიეცემა ნებისმიერი არასტანდარტული გარემოების დროს მოახდინოს სათანადო რეაგირება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს ადგილზე სამედიცინო პუნქტის განთავსება/ტრანსპორტირება. გარდა ამისა, გაადვილდება კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პირების ტრანსპორტირება რთულად მისადგომი ადგილებიდან შესაბამის სამედიცინო პუნქტებამდე.

ზემოაღნიშნული შესყიდვის განხორციელების მიზნით ჩატარდა ბაზრის კვლევა, შესაბამისი ტექნიკური მახასიათებლების მქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე.

ერთი ერთეული პიკაპის ტიპის ავტოსატრანსპორტო საშუალების ფლობის სავარაუდო ღირებულებაა 75 000 (სამოცდათხუთმეტი ათასი) ლარი. აქედან, ავტომობილის (საბარგულით) სავარაუდო ღირებულება შეადგენს 62 200 (სამოცდაორი ათას ორასი) ლარს, ავტომობილის საწვავის პირობითი ღირებულებაა 7 900 (შვიდი ათას ცხრაასი) ლარი და გეგმიური საგარანტიო მომსახურების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 4 900 (ოთხი ათას ცხრაასი) ლარს. 4 (ოთხი) ერთეული პიკაპის ტიპის ავტოსატრანსპორტო საშუალების ფლობის სავარაუდო ჯამური ღირებულებაა 300 000 (სამასი ათასი) ლარი.

წინასწარი ინფორმირების მიზნით საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია ელექტრონული ფოსტის საშუალებით გადაიგზავნა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში საიდანაც მიღებულია თანხმობა (თან ერთვის) შემდგომი პროცედურების განხორციელებაზე.

შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

ამასთან, „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი

ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 იანვრის N33 დადგენილებით, განისაზღვრა კლასიფიკატორის კოდების ჩამონათვალი, რომელთა მიხედვით შესყიდვის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს მთავრობის წინასწარი თანხმობის მიღების (სათანადო სამართლებრივი აქტის გამოცემის) შემდგომ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტს „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით წინასწარი თანხმობის მიცემის თაობაზე" (გამნარტემით ბარათთან ერთად).

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაავალოთ სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტს, განახორციელოს შესაბამისი პროცედურები რათა თანდართული განკარგულების პროექტი წარდგენილი იქნას საქართველოს მთავრობის უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

პატივისცემით,

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი	ნინო ბერძული